7170

№ 10-11 1924

ჩანგალი

სახელმწიფო გამომცემლობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

1. ოქტომბრის რევოლიუციის ბელადი **ვ. ლენინი** და ეულლე მისი **მ. კრუპსკაია** თავის **ორი შვილობილით**. სურ. . 1.
2. **7 ნოემბერი**,—დავ. კარბელაშვილისა . . . . . 2.
3. **ოქტომბრის ყვავილები**,—ლექსი მაყვალასი . . . . . 4.
4. **ოქტომბრის ყვავილები**,—მუსიკა თაქთაქიშვილისა ლექსი ი. სიხარულიძისა . . . . . 6.
5. **პატარა მხატვარი**,—მიმქრალისა . . . . . 7.
6. **პატარა პიონერები**,—ლექსი მისივე . . . . . 8.
7. **პატარა მეგობრები**,—მ. ხრიალეთელისა . . . . . 9.
8. **მემანქანეს თანაშემწე**,—დიომიდე ანთაძის . . . . . 13.
9. **ზღარბი**,—ცქვიტის . . . . . 18.
10. **ფრთოსანი მგზავრები**,—პ. ტფილელის . . . . . 21.
11. **აეროპლანი**,—ნ. ნაკაშიძის . . . . . 26.
12. **კვერნა**,—ივანე ელიაშვილის . . . . . 28.
13. **მოთხრობები**, გასართობი წუმწუმისაგან, გამოცანა და შარადა.

3.24
თბილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

წ. მ-XX № 10—11 ოქტომბერი, ნოემბერი. 1924 წ.

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის
და ახალგაზრდათა კომკავშ. ცენტრ. კომიტ. ჟურნალი ბავშვებისათვის.

248

ოქტომბრის რევოლიუციის ბელადი ვ. ლენინი და მეუღლე მისი
მ. კრუპსკაია თავის ოჯრი ფვილოგბილით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7 ნოემბერი

ბავშვებო, მშრომელი ხალხი დღეს მეშვიდედ დღესასწაულობს ამ დღეს.

აი, რათა:

1917 წლამდე რუსეთში და კავკასიაშიც მეფე იყო. მას ზურგს უმაგრებდა ბურჟუაზია, მდიდარი ხალხი. მეფე თავის ნებაზე ჩაგრავდა ხალხს, არავითარ უფლებას არ აძლევდა, სწავლა-განათლებას უზღუდავდა, დიდს გადასახადებს ახდევინებდა.

ხალხი გმინავდა, იტანჯებოდა მძიმე ულელქვეშ.

1914 წლის დიდი ომი რომ დაიწყო, მარტო რუსეთმა 8-10 მილიონამდე მშრომელი გაიყვანა საომრად. ომი კი მეფის და მდიდრების მოგონილი იყო, უფრო მეტად უნდოდათ გამდიდრება. ომი მშრომელს არ უნდა, ის მას ანადგურებს. მშრომელი ომის წინააღმდეგია, მას მშვიდობიანი ცხოვრება უნდა. მშრომელი რომ ომში გავიდა, ცოლ-შვილი მშიერი დარჩა. ომი დიდხანს გაგრძელდა. სულ ომობდა 20 მილიონზე მეტი მშრომელი, ამათგან 9 მილიონზე მეტი დაიღუპა, დასახიჩრდა, ულუკმა-პურად დარჩა.

ვერარ აიტანეს მშრომელებმა ომის საშინელებანი. 1917 წლის 12 მარტს ისინი აჯანყდენ და მეფე ჩამოაგდეს, ,,აგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშები გამოუცდელნი იყვენ, ჯერ კიდევ სუსტნი და ამიტომ ბურჟუაზიამ იგდო ხელში ბატონობა.

8 თვე იბატონეს.

25 ოქტომბერს კი (ახალი სტილით 7 ნოემბერს) მუშებმა და ჯარისკაცებმა ისინიც გაანადგურეს და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს.

ამ საქმეს მეთაურობდა ვლადიმერ ლენინი.

ახლა უკვე მომზადებულები, გამოცდილები იყვენ მუშები. ვლადიმერ ლენინი მათ მთავრობის თავმჯდომარედ აირჩიეს. განთავისუფლდა ბლეხი, მუშა, გაძლიერდა, გაგანიერდა საბჭოთა ტერიტორია.

1921 წელს თებერვალში საქართველოშიც დამყარდა საბჭოთა ძალა-უფლება.

ამნაირად, მთელ რუსეთის და კავკასიის ფარგლებში აფრიალდა წითელი დროშა.

რასაც მეფე ომზე ხარჯავდა, რასაც მდიდრები უზომოდ ანიავებდენ, დღეს სწავლა-განათლებაზე იხარჯება.

საქმე ამით არ გათავდა. საქმე ჯერ ნახევრადაც არ არის გაკეთებული. ბევრი მუშა იტანჯება მდიდრებისაგან სხვა ქვეყნებში. ისინიც ელიან ღირსეულს მეთაურს გასანთავისუფლებლად. საბჭოთა რუსეთმა უნდა იკისროს ეს დიდი საქმე.

აქვს, თუ არა მას ამის ძალა?

აქვს: როდესაც მომავალი ახალგაზრდობა კომუნისტური შეგნებით აღიზრდება,—ეს საქმე მაშინ გაკეთდება.

კომუნისტური შეგნება კი ამბობს: ძირს მჩაგვრელნი, გაუმარჯოს დაჩაგრულს!

ძირს სიბნელე, გაუმარჯოს სინათლეს, სწავლა-შეგნებას! მაშ, ისწავლეთ ბავშვებო!

დავ. კარბელაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის ყვავილები

ვენი დროშა ფრიალებს,
ძმებო შემოვკრბეთ ყველა;
ოქტომბერი გრიალებს,
მშრომელების საშველად.

ურჩ ოქტომბრის ყვავილნო,
ჩაგვიდოთ ხელი-ხელსა;
ბატარა შრომის შვილნო,
ვეტრფოდეთ მის სახელსა.

დაჭკათ ბუკი, ნადარა,
ამაყად წინ ვიარეთ.
მონები ვართ ადარა,
წითელ სხივს ვეზიარეთ!

ჩვენი ანცი სიმღერა,
დე მოედოს ქუჩებსა;
ნორჩი რაზმის სიმთ ჟღერა
მზეს უკოცნის ტუჩებსა.

ყველა მშრომელთ შვილები,
ჩვენი შვებით ჭსარობენ;
ვაით გამოზრდილები,
ოქტომბერით დარობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი ტაშს გვიკრავს დღეს,
ცეკვავს მინდორ-ველები;
შარი-შური გაააქვს ტყეს,
ზე აღმართულ ელებით.

დღეს სიამით ვშლით ჩვენ ფრთებს,
და ქალაქი შვენდება;
მაღალ ტიტანიურ მთებს
გული ტრფობით ენთება.

სიო გვიკოცნის ქოჩორს
და დაგვსარის მნათი მზე;
ჩვენს ხმას მიაქროლებს შორს—
ეველას იწვევს ნადიმზე.

დღეს მეშვიდე ოქტომბერს
ვეგებებით ნეტარად;
მერვე უფრო მძლედ დაჭბერს
ეველა ბავშთა ნექტარად.

თამამად, წინ ვიარეთ,
არვის დაგეტეოთ დაღლა;
ოქტომბერს ვეზიარეთ,
სმენა! დროშები მაღლა!

მაყვალა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ოქტომბრის ყვავილები“

სიტყვ. ი. სიხარულიძისა. მუს. თაქთაქიძვილისა.



ქტომბრის ყვავილები ვართ,
ვიშლებით, ვიფურჩქნებით,
მშრომელების შვილები ვართ,
მარად მათთან ვიქნებით.

მოვდივართ და მოვიმღერით
ტკბილი ხმების წკრიალით,
ყვავილებით მოკაზმულნი,
წითელ დროშის ფრიალით.

ილია სიხარულიძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა მხატვარი

ამაზას^ უყვარს ტყეში ხეტიალი, შემოდგომის ყვითელი ბალები, ვიწრო ბილიკებზე დასვენება და მუუდრო გარემოში საგნების ხატვა.

ირხევა ნიავი.

ხეები ერთმანეთს ეტმასნებიან და სცვივა ფოთლები ყვითელი ფარჩის ნაფლეთებად.

თამაზა ხატავს ფოთლების ცვენას... და უცებ ქარი... ქარი მაგარი ფრთებით გაიშრიალებს...

აფრიალდება ფოთლები, ამტვერიანდება ბალი. თამაზას ეს უხარია: ის ახლა ხატავს ფოთლების ცეკვა-თამაშს.

და ეშვება სადამო თალხი არშიებით.

ღრუბლებში მთვარე ჩამოწვება და დედამიწას გადმოსცინებს. მიწენარდება ბალი.

თამაზა რვეულს დახურავს და ნელი ნაბიჯით მიდის შინისაკენ.

მ. მ ქრალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენ პიონერები

ჩვენ გვიყვარს დროშები
წითელი აისის,
მომავლის მუშები
სავსე ვართ ხალისით.

ჩვენ, პიონერებმა,
არ ვიცით მოწყენა,
გვეძახის ცხოვრება,
შრომა და მოლხენა.

მიგდიგვართ და ვიცით
გზა ახალ თაობის...
ჩვენ დავსდეთ დღეს ფიცი
ერთობა—თანხმობის.

მიმქრალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვატარა მეგობრები

ექტემბრის მზიანი დღე იყო. სკოლის ეზოში სოფლის ვატარა გოგონებსა და ბიჭებს თავი მოეყარათ და თამაშობდნენ.

ყველას უხაროდა, რომ სწავლა იწყებოდა.

ოთველ ახალმოსულ, ძველ მოწაფეს, ტაშის ცემითა და ვაშას ძახილით სვდებოდნენ, გარს შემოეხვეოდნენ, დაუწყებდნენ გამოკითხვას და შემდეგ, რომელიმე მოთამაშე ჯგუფი თავის წრეში სათამაშოდ წაიყვანდა.

ყველა იცინოდა.

ყველა თამაშობდა.

ყველას ახარებდა სწავლის დაწყება. მოჰყვანდათ ახალი მოწაფეები, რომელნიც მშობლების წასვლის შემდეგ ანრეულებულნი რჩებოდნენ.

ვირველი დღე, მეორე და შემდეგ ბევრნიც აარსებდნენ თავის ჯგუფს და აწყობდნენ თამაშობას.

სკოლის ეზო თანდათან ცოცხლდებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ დაერეკათ სწავლის დაწყების მაუწყებელი ზარი.

— გიგო! ვალიკო სად არის? რატომ აქამდე არ გამოცხადდა სკოლაში ადრიცხვაზე?—შეეკითხა ვატარა მათე თავის ამხანაგს.

—სადაც არის სწავლა დაიწყება და მანამდე ერთი გათამაშება მაინც მოგვესწრო თავისუფლად, რომ იგიც ეოფილიყო.

— მართლა მათე! მე შენთვის არ გადმოგიცია, არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალიკოს მამა მოუკვდა და ის იძულებულია სწავლას თავი დაანებოს. მას შინ არავინ ჰყავს ისეთი, რომელსაც შეეძლოს მუშაობა, და თუ მან არ იმუშავა, შიმშილით მოკვდება თვითონაც და მისი ჰატარა ძმები და დებიც. „მუშაობას და სწავლას, ერთად ვერ შევსძლებო,“ სთქვა მან ჩემთან საუბრის დროს.

—ამიტომ ანებებს სწავლას თავს?—დაღონებით შეეკითხა მათე.

— დიაღ, ამიტომ.

— მაშ ჩვენი საუკეთესო ამხანაგი ვალიკო, უნდა ჩამოგვშორდეს?

— რა უნდა ვქნათ?

— რა?.. მოდი გიგო რამე ვიფიქროთ, რითიმე დავეხმაროთ და ვალიკოს სწავლას ნუ ჩამოვაშორებთ.

— აბა, მოდი, დავეხმაროთ, მაგრამ როგორ?

— როგორ? იცი, ჩვენ დღესვე წავიდეთ ვალიკოსთან, ვთხოვოთ მას, რომ ცოტა გაიჯირვოს, ნუ დაეთხოვა სწავლას და ვუთხრათ, რომ ჩვენ, რაც შეგვეძლება, დავეხმარებით.

— კარგი, მაგრამ როგორ უნდა დავეხმაროთ?—შეეკითხა გაკვირვებული გიგო.

— აი, როგორ: ჩვენც ცოტა ამხანაგის გულისათვის გავისარჯოთ, და სწავლის შემდეგ წავეგეთ ვალიკოს შინ, იქიდან ეანაში და სამი ადვილად შეეასრულებთ იმ დანაკლისს, რაც სკოლაში ეოფნის დროს მოუვა.

— ვაშა, ჩემო მათე! აი, მოფიქრებაც ასეთი უნდა. ბარაქალა, ბარაქალა, ბიჭო!

— ცოტა მშობლებიც მოვატეუილოთ, იმისათვის, რომ ამხანაგი არ დაეკარგოთ. ვითომ სამეცადინოდ დავდივართ მასთან, როგორც კარგ მოსწავლესთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ესეც კარგი აზრია, ჩემო მათე! ვაშა! ვაშა!..

— მაშ წავიდეთ ვალიკოსთან, გავაგებინოთ ჩვენი გადაწყვეტილება.

— ვაშა!..—უფრო ხმამაღლა შესძახა გახარებულმა ბავშვმა და მოთამაშე ბავშვების ჯგუფს გაშორდენ.

ერთი საათის შემდეგ ბავშვებმა მიაგნეს ეანაში მარტოდ მოშუშავე ცამეტი წლის ოჯახის ბურჯს, რომელსაც ამხანაგების დანახვაზე სიხარულისაგან ცრემლები გადმოსცვივდა:

მათემ და გიგომ ვალიკო დაამშვიდეს და უამბეს მათი მოსვლის მიზეზი.

ვალიკო ჯერ უარზე იდგა, მაგრამ მათემ და გიგომ აიძულეს, რომ დასთანხმებოდა.

მეორე დღეს სკოლის ეზოში სხვა ბავშვებთან ერთად გამოცხადდა ვალიკოც, რომელსაც ოთველგან თან ახლდა გიგო და მათე.

გავიდა თითქმის ორი თვე.

გიგო და მათე ოთველდღე, შინ მოპარული საგზლით, სწავლის შემდეგ ვალიკოსთან მიდიოდენ და ეხმარებოდენ მას შინ თუ გარედ.

გიგოს და მათეს მშობლები კი გაკვირვებული რჩებოდენ, რომ ბავშვები თავის დროზე არ ბრუნდებოდენ სასწავლებლიდან.

შეკითხვაზე ოთველთვის უპასუხებდენ, რომ „მეცადინეობენ.“

ბოლოს მშობლებმა გაიგეს საქმის გარემოება და არა თუ არ დაუშალეს, პირიქით მოუწონეს კიდეც შვილებს ეს საქციელი.

გავიდა სამი წელი. ივნისის მსიარული დღე იდგა. სკოლის ეზოში რაღაც არაჩვეულებრივი მზადება იყო.

ცოტა ხანი კიდევ და იქ სუფრა გაიშალა. მას გარშემო უსხდენ საპატიო სტუმრები, მასწავლებლები და მოწაფეები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუფრის თამადამ და სკოლის გამგემ ჭირვეული სასმისი აიღო და ადღეგრძელა სამი ჭატარა მეგობარი: მათე, ვალიკო და გიგო, რომელთაც ჩინებულად დაემთავრებინათ სწავლა. ასეთი შრომისა და სწავლის გამო სკოლის გამგეობა გზავნიდა მათ ქალაქში სწავლის გასაგრძობად. გამგის სიტყვას მოჰყვა ტაშის მსიარული ცემა, ვაშა და ძახილი: გაუმარჯოს მათეს, და ვალიკოს!

მაშ, გაუმარჯოს, ჭატარებო, სწავლას, შრომას და მეგობრობას.

მ. ხრიალეთელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მემანქანეს თანაშემწე

ამის პირველი საათი იყო. მტკვრის პირს უზარმაზარი შენობა, გამოშვერილ, დიდი მილებით ზანზარებდა, ქშინავდა და ცისაკენ კვამლს ისროდა, თითქო ბრაზობდა, რომ არ ასვენებენ და ასეთ ღამესაც კი აწვალებენ.

მერმე ვინ?

ორი გამურულ-გათხუპნული ადამიანი. მტკვარი უსიამოვნოდ მიეჩქარებოდა, ზედ ეხეთქებოდა შენობიდან ჩაშვერილ მილს და თითქო ცდილობდა გვერდი აეხვია, მაგრამ ამაოდ, „საძაგელი“ მილი ხარბად ისრუტავდა წყალს, შენობაში მოთავსებულ მანქანის საშუალებით.

შიგ კი სულიკო გაოფლიანებული, მაზუთით გათხუპნული, ნახევრად ტიტველი, ცქვიტად ცოცავდა კიბეზე, რომ მთავარ ბორბლის ღერძისათვის ზეთი წაესვა.

მართალია, იგი პატარა, ჯერ კიდევ თერთმეტი წლის ბიჭუკელა იყო, მაგრამ მუშაობით დიდსაც არ ჩამოუვარდებოდა. იგი მემანქანეს თანაშემწედ ითვლებოდა და ამ წოდებას სავსებით ამართლებდა.

ძნელი იყო მუშაობა. მართლაც, აბა წარმოიდგინეთ, მთელი ოთახალის ბაღების აუზები წყალსადენს ორ დღეში ერთხელ უნდა აევსო. უზარმაზარ, ორსართულიან მანქანას კი მარტო ორი მომვლელი ჰყავდა: მემანქანე „ბიძი,“ როგორც უწოდა მას სულიკომ და მისი თანაშემწე—სულიკო.

მანქანა დაძველდა და მისი გასწორება, შეკეთება ხშირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხდებოდათ ჩვენს „ნაცნობებს.“ ეს კი აფერხებდა მუშაობას და ზოგჯერ ღამითაც სჭირდებოდათ მანქანის ამოძრავება, რომ „დაკარგული“ დრო აენაზღაურებიათ.

„დრრრ... დრრრ... დაჟინებით რახრახობდა მანქანა.

— სული!...—დაუძახა „ბიძი“-მ., ამ ხმაურში სულიკომ ვერაფერი გაიგონა.

— სულ-ი-ი-კ-ო!

— ა, ა, ა?

— ქვევით წაუსვი... ქვე-ე-ვით.

სულიკომ ოფლი მოიწმინდა. ჩამოცოცდა რამოდენიმე საფეხური, დააწვეთა მეორე ბორბლის ღერძს ზეთი, შემდეგ ის იყო ჩამოსვლას აპირებდა, მაგრამ ფეხი ღაუცდა და... კარგი, რომ „ბიძი“-მ დროზე წაავლო ხელი.

— აი, აი, რომ ჩავარდნილიყავ, ხომ კატლეტი გამოვიდოდა შენგან!

ფრთხილად!—უსაყვედურა „ბიძი“-მ.—წადი ერთი, ნახე, მაზუთი რამდენია?

— ოცდაჩვიდმეტი ფუთი.

— ოცდაჩვიდმეტი?—უ-უ, სულიკო, ღამეს გავათენებთ!

— ა?

— ღამეს გავათენებთ მეთქი.

— ა ა ა?

— დიდხანს მოგვიხდება მუშ...

— ჰო, ჰო მივხვდი, მივხვდი...—თავი დაუქნია სულიკომ და გაეშურა წყალის დასალევად.

„ბიძი“ კი მივიდა საორთქლე ქვაბთან. ფარსუნკის ონკანი ფრთხილად მოატრიალა, გააძლიერა ცეცხლი და იქვე ახლო ჩამოჯდა.

„მანქანა სახუმრო ხომ არაა, ყოველ წუთს თვალის დევნება სჭირია,—ბევრჯერ უთქვამს მემანქანეს და ახლაც დაჭიმული ძარღვებით, სიცხისაგან ოფლში გაწურული—ჩააშტერდა ორთქლისა და ცეცხლის სიძლიერის აღმრიცხველ მოწყობილობას.

„დრრ.. დრრ“... ზანზარობდა მანქანა.

— სული.:

— ა ა?

— რას აკეთებ?

ჯიბის ხუფისათვის აზბესტს ვამზადებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აძვერი, ნახე ჯიბის ხუფი ორთქლს ხომ არ უშვებს.



ცოტა მოუშვი და მერმე... მოიცა, მოიცა, სად გარბიხარ!.. მერმე მოუჭირე. მაგრად, იცოდე!

ფეხშიშველა სულიკო უკვე საორთქლეზე ასრულებდა ბრძანებას.

— შ შ შ... გაისმა ამოვარდნილ ორთქლის ქშიტინი.

— მოუჭირე, მოუჭირე!

— მოვუჭირე,—გამოსძახა პაწია ბიჭუკელამ და ჩამო ცოცდა.

ფეხები აგეწვა?

— ცოტა,—უპასუხა ცრემლ-მორეულმა სულიკომ, შემდეგ გაეშურა ფოლადის ცილინდრების გასასინჯად.

„ფუხ, ფუხ, ფუხ, ფუხ“.

— უჰ, თქვე პატარებო, რა გაბრაზებთ, ა, ზეთი ხომ არ გნებავთ?—ელაპარაკებოდა ცილინდრებს სულიკო.

— ფუხ, ფუხ, ფუხ, ფუხ“!.

— ნწ, არა, არ გდომებიათ, ეჰეი, რამდენი ჭუჭყი დაგროვილა თქვენთან. აბა, მოვაშოროთ! „ნენი-ოდელი ოდელა, რა, რა, ნანინა“—დამღეროდა სულიკო და გულმოდგინედ ჭუჭყს შორებდა. მანქანა თითქო ბანს აძლევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თითქმის ხუთი წუთი გავიდა და ბიძი კი არ მეძახის —მოუსვენრად გაუელვა ფიქრმა.—ალბად არ ვჭირივარ“ — ნაწყენი კილოთი გამოეხმაურა მეორე ფიქრი. სულიკომ გულ-მოდგინეობა გააორკეცა.

გავიდა შვიდი წუთი, მემანქანე მაინც არ უძახდა. აღელ-ვებული ბიჭი გაეშურა „ბიძი“-საკენ... და დახეთ მის გან-ცვიფრებს, „ბიძია“-ს ღამის ორ საათზე, დიაღ, ღამის ორ საათზე ეძინა!



— საკვირველია—წაილუღლუღა ბავშმა.

ელვის სისწრაფით აცოცდა კიბეზე და წაუსვა გახურე-ბულ ღერძებს ზეთი. ჩამოსრიალდა, მივარდა ორთქლის აღ-მნიშვნელს.

ორთქლი დაგუბებულიყო, ცოტა კიდევ და ქვაბი ალბად გასქდებოდა... დროზე ჩაუშვა სულიკომ ცივი წყალი.

გაძლიერებული ცეცხლი ონკანის გადატრიალებით დაა-სუსტა. გახურებულმა ონკანმა მას ხელზე ტყავი ააგლიჯა.

ის-ის იყო მემანქანის გაღვიძებას აპირებდა რომ...

— დგლინ!—ოდნავ გაიხმაურა ფოლადის ლურსმანმა და დიდი ბორბალი ღერძს თანდათან მოშორდა.

სულიკო სწრაფად გადახტა, ჩაებღაუჭა საჭეს და გადაა ტრიალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დრრ... დ... რრ“...—მანქანა გაჩერდა. ბორბალი კალაპოტში ჩასრიალდა.

აკანკალებული ბავში იატაკზე დაეშვა, თითქო ტირილს აპირობსო, მაგრამ არა... მან ხელში ბორბალიდან ამოვარდნილი ლურსმანი იგრძნო, უცბად ჩაებღაუჭა და ჩაქუჩით კიბეზე აცოცდა, წუთიც, და ყველაფერი თავის ადგილზე იყო მოთავსებული.

— სული!..

- ჰა?

— მანქანა?..

სულიკო ჩუმად იყო, ან და, როგორ უნდა გაეცა პასუხი, როდესაც „ბიძი“ ხან იცინოდა, ხან ტიროდა, ხან ჰკოცნიდა თავის თანაშემწეს.

— არა, არა, შენ იცი, იცი, პაწიავ, რომ ჩვენ სრულებით დავიღუპებოდით, სრულებით, შენ რომ არ?..

— ჰა—ოდნავ გამოეხმაურა სულიკო—ბიძი, ბიძი! ორთქლს უნდა ამოშვება, ბიძი!

დაღლილ სულიკოს უკვე ეძინა. ძილში რაღასაც ბოდავდა. მემანქანე სიყვარულით უყურებდა თავის თანაშემწეს.

დრრ... დრრ... ხმაურობდა ბორბლები.

დიომიდე ანთაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზღარბი

ემოდგომის წვნარი მზეა. ოდნავი სიო ფოთლებს უცნაურად ესაუბრება. ზოგს ხეზე ფოთლებს დაირის ფიფინურებივით აფრიალებს, ზოგს ცხვრის ფარასავით დაილალავს, როცა ძლავრად წამოუქროლებს, და ვინ იცის, რომელს სად მიაგდებს. დაუსრულებელი ჩურჩული, დაუსრულებელი შრიალია გარშემო. ალუბლის ქვეშ ბაწია ჩახრიალა სულ ერთ ხმაზე რაღასაც მღერის, ცელქად ლიკლიკებს და თინას ბორბალს გამალებით ატრიალებს. ყვერცხლის გრეხილად გადმოკიდული ბაწია რუ თავისი ჩქეფით გამსჭვირვალე ბურთებს აკეთებს, რომლის გულშიაც მზე და ლურჯი ცა ერთი წუთით ჩაისედავენ, ბაწია სახით შიგ აბრიალდებიან და უმალ ისევ ქრებიან. ქვემოდ რუს წეალი მცენარეთა შორის იმალება და იქიდან ალაგ-ალაგ მინის ნამტვრევებივით ბრწეინავს.

თინას წკრიალა ხმა შორიდან ისმის:

— მე დღეს სტუმრები მეავს, ძვირფასად მორთული სტუმრები. მობრძანდით, გენაცვა, მობრძანდით! საუზმეს წისქვილთან მოგართმევთ, მეტად შვენიერია იქაურობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინამ ვაზებიდან გამოიღო თავი, ცალ ხელში წითელი ფოთლები უჭირავს, მეორეში ხვართქლას ლამაზი და ნაზი ყვავილები დაუკავებია და მოდის, სიხარულით მოხტის და მოცქრიალებს, მის ჰაწია ფეხქვეშ ფოთლები შრიალობენ.

— აი, ქალბატონებო, აქეთ დაბრძანდით! შენ, ეი, მზეთუნახავო, ფარჩის კაბა არ გაგიფუჭდეს, ფრთხილად, გენაცვალე!..

თინამ ლილისფერკაბიან, ნაზ ხვართქლას ხალიჩად ბუქერას ფოთოლი დაუფინა, თეთრ და ჰირისფერ კაბიან სტუმრებს წითელი ფოთლები გვერდში ამოუყენა და გახედა.

ო, ო, რამდენი მართული სტუმრები ჰყავს, რამდენი! მერმე რა ლამაზები არიან! იქვე ჰაწია ჩარხი, მოლეკურე ჰატარძალიკით ხელებგაშლილი, კოხტად ტრიალობს და წვრილ მარგალიტებით რთავს თინას ნაზ სტუმრებს.

აბა, უკაცრავად, გენაცვალეთ! მე ახლავე გიახლებით. ამ წამს ისეთ საუზმეს და დამკრახულ ყურძენს მოგართმევთ, რომ თვალები ზედ დაგრჩეთ. უკაცრავად, უკაცრავად! — ტკბილი ღიმილით ტიკტიკობს თინა, სტუმრებს თავაზიანად თავს უკრავს და ისევ ვაზებისაკენ მიეშურება.

მან ბოსტანი ერთ წამს გადაირბინა, ბილიკს გვერდი აუქცია და ვაზებისაკენ ჰირი რომ იბრუნა, უმალ შეკრთა, ჯერ შეჩერდა და შემდეგ შიშისაგან უკან დაიხია.

— ვაიმე, დედა, ამას რას ვხედავ, წამოიძახა მან და შიშისაგან გადიდებული თვალებით რაღასაც ხარბად ცქერა დაუწყო.

თინას წინ, ვაზებს შუა, რგვალი მოყვანილობის რაღაც მსუქი მიცოცავდა. ყალეზე დამდგარ ჯაგრის მსგავს ნემსებზე ყურძნის მარცვლები ისე წამოეცვა, გეგონებოდათ, მარგალიტებით ნაქარგი ცოცხალი ქისა მიცოცავსო. თინამ არ იცოდა, რომ ეს უცნაური ცხოველი გველების და ვენახის მავნებელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭია-ღუის დიდი მტერი იყო. არც ის იცოდა, რომ მას ყურძენი თინაზე უფრო უყვარდა.

თინას ფეხის ხმაზე და მის ხმაურობაზე ზღარბი ერთ წამს შეხერდა, თავვის მსგავსი, ოდნავ მოლურჯო, ბაწია ცხვირიანი, ოთხი ფეხი და ბაწია კუდი უძალ სადღაც დამალა და ბურთიფით დარგვალებულმა სული განაბა. ო, ო, რა ლამაზი იყო ყურძნის მარცვლებით ჩამარგალიტებული ბურთი! მაგრამ თინა მას როგორ მიეკარებოდა! განცვიფრებული და შიშისაგან თავზარდაცემული თინა დედას მასიდით შინისაკენ გამოექანა.

მისწედა თუ არა ხმაურობა, მოქარგული ბურთი ჯერ ოდნავ ფრთხილად შეინძრა, შემდეგ ცხვირი გამოაცოცა, ენოსვა აიდო, მერმე ფეხები გამოჭეო, ისევ გაგრძელდა, კუდი გამოახინა და ჭოტა ტეირთით აკინძული ბუჩქებისაკენ ისე მარდად გამოეშურა, რომ თინა და მისი დედა ფრინველებადაც რომ ძალეულიყვენ, მაინც ვერ მოუსწრებდენ.

ცქვიტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრთოსანი მგზავრები

ენო გაზაფხულიდანვე ადევნებდა თვალყურს მერცხლებს, რომლებმაც მათ ჭერქვეშ დაიბუდეს. როგორ იყვენ გადაყოლილი მერცხლები თავის ბარტყებზე! მთელი დღე მათთვის საჭმლის ზიდვას უნდებოდენ. თუ ვინიცობაა შორი-ახლო მოჰკრავდენ თვალს კატას, საშინელ ჭყივილს ასტეხდენ და თან ბუდეში მსხდომ ბარტყებს თავს დასტრიალებდენ. სანამ არ მოიშორებდენ კატას, არ დამშვიდდებოდენ. ამ წვალებასა და ტანჯვაში დააპურეს ბარტყები, დააფრინეს და ცოტა არ იყოს, დამშვიდდენ, მაგრამ ამასობაში შემოდგომამაც უსწრო და ახლა ახალი საზრუნავი გაუჩნდათ ჩვენს ფრთოსნებს. ემზადებიან თბილ ქვეყნებში გადასაფრენად, არ ემეტებათ თავის ბუდის, ნაცნობი კუთხის მიტოვება, მაგრამ რა ქნან, შიმშილით ხომ არ დაიხოცებიან. მწერებმა იგრძნეს თუ არა შემოდგომის სუსხი, მიაშურეს მიწას. მიეცემიან იქ ზამთრის ღრმა ძილს და გაზაფხულამდე არ მიატოვებენ ამ თბილ და მყუდრო ბინას. მანამდე კი ჭამა არ უნდათ მერცხლებს? ოღონდაც, რომ უნდათ!

ბენომ იცოდა, რომ მეტი გზა არ იყო,—უნდა გამგზავრებულიყვენ მერცხლები სხვა ქვეყნებისკენ, რომ ეს მათ გულცივობით არ მოსდიოდათ; ამიტომ გულში არც თუ უწყრებოდა თავის საყვარელ მეგობრებს, მაგრამ ამასთან ერთად მრავალი კითხვები ებადებოდა. როგორ უნდა გადაიფრინონ საცოდავებმა ამოდენა მანძილი, როგორ იქცევიან, როცა გზაზე ზღვა ხვდებათ, რა ეშველებათ, თუ გზაში ქარიშხალი ამოვარდა, გაზაფხულზე ძველ ბინაზე მოფრინდებიან, თუ სხვაგან დაიბუდებენ, რით ისაზრდოებენ თბილ ქვეყნებში?

მრავალი ასეთი კითხვა დაებადა ბენოს. მასწავლებელს მოსვენება არა ჰქონდა ბენოს კითხვებისაგან. სამკითხველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ერთი წიგნი არ დაუტოვებია, სადაც კი ფრთოსნების ამბავი ეწერა. ყველაზე მეტად დაეხმარა მას მოხუცი სოსო. სოსო სოფელში განთქმული იყო, როგორც მონადირე.

ახალგაზრდობა მას ნადიროობაში გაუტარებია. ის ახლა უკვე ბრმაა, მაგრამ ისე აქვს შესწავლილი ფრინველების ზნე-ჩვეულება, რომ ვერც ერთ ფრინველს ვერ გამოაპარებ. სოსო რომ დაიჩხავლებს, ნამდვილი ყვავი გეგონება, მწყერივით რომ გააბამს:—ქვითკირო, ქვითკირო,—წარბა ყურებს აცქვეტს და ყანისკენ გაიხედავს. საწყალს, ამასაც დიდი ხანია არ გაუნავარდია მინდორში! ბევრი რამ შეიტყო ვანომ სოსოსაგან ჩვენი ფრთოსნების შესახებ.

შოშიების გადაფრენა.

მან გაიგო, რომ ჩვენი ფრთოსნები უცხოეთში მიფრინავენ იმიტომ, რომ მათ ეშინიათ სიცივისა და შიმშილის. სიცივეს კიდევ გაუძლებენ როგორმე, მაგრამ უსაჭმლოდ კი ვერ გასძლებენ: ყველაზე ადრე ის ფრინველები მიფრინავენ, რომლებიც ჭია-ღუით საზრდოობენ. ამიტომაა, რომ მერცხალს, მეკირიეს და კვირიონს ვერც ერთი ფრინველი ვერ გაასწრებს.

ის ფრინველები კი, რომლებიც მარცვლეულობით საზრდოობენ, უფრო დიდხანს შოულობენ ჩვენში საზრდოს და ამიტომ ჩვენგან უფრო გვიან მოფრინავენ. ამიტომაა, რომ შროშანი, ჩხართვი, შაშვი და კაკაბი უფრო მეტ ხანს რჩებიან ჩვენთან, ის ფრინველები, რომლებიც ადრე მიფრინავენ, გაზაფხულზე გვიან ბრუნდებიან, ისინი კი, რომლებიც გვიან მიფრინავენ, გაზაფხულზე ადრე გვიბრუნდებიან.

თუმცა გამგზავრებაზე ოჯახური მდგომარეობაც მოქმედობს, გადაფრენის საღერღელი ყველაზე უმალ იმ ფრინველებს ეშლებათ, რომლებსაც არ გამოუჩეკიათ ბარტყები, ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რომელიმე ონავარ ბავშს ამოუსხამს ბუდიდან. იმათ მოლონიერებული ახალთაობა მისდევს, სულ ბოლოს დედა-ფრთოსნები მიფრინავენ და თან მიჰყავთ ჯერ მოულონიერებელი ბარტყები.

ვიდრე გზას გაუდგებოდენ, ფრთოსნები დიდ მზადებაში არიან. ან კი როგორ არ უნდა ემზადებოდენ, ზოგი რამდენიმე ათასი ვერსის მანძილზე უნდა გადაფრინდეს. ხშირად გასაფრენად მომზადებული გუნდი პირდაპირ გზას კი არ გაუდგება, ჯერ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადინაცვლებს, მეორედან მესამეზე. მანძილი ასეთ სადგურებს შორის თანდათან მატულობს. ასეთ სადგურებზე გუნდი ცოტათი დაასვენებს ფრთებს და, თუ საკბილოსაც შეხვდა რასმე, მოიკლავს შიმშილს და წყურვილს. ფრინველებმა შვენივრად იციან, რომ ამ დროს მათ უთვალთვალებს ცბიერი მონადირე და ამიტომ მეტად ფრთხილად არიან. ღამე გამოცდილ ფრინველებს სადარაჯოზე აყენებენ. გუნდი ისვენებს, დარაჯი კი ფხიზლობს და, თუ ვინიცობაა, საფრთხის მოახლოვება იგრძნო, განგაშს ასტეხს, არიქა, თავს უშველეთო! მოგზაურ ფრინველთა გუნდს ჩვეულებრივად წინ მიუძღვის გამოცდილი ბალადი. ეს ბელადი ირჩევს დასაბანაკებლად ადგილს, უჩვენებს გუნდს რა მიმართულებით უნდა იფრინოს და სხვა. ასეთი დიდი მოგზაურობის დროს მოსალოდნელია ყოველნაირი უბედურება. სწორედ ეს საფრთხე აღვიძებს ფრთოსნებში საოცარ ამხანაგურ გრძნობას. ფრთოსნები საკვირველ თავგანწირვას იჩენენ, განსაკუთრებით წესია თუ გუნდიდან რამდენიმე წერო მონადირის თოფის წერა გახდება, დანარჩენები წამოიშლებიან, მაგრამ იქვე დაჭრილ წეროებს თავს დაფრინავენ, თითქო უნდა გაამხნეონ დაჭრილი ამხანაგები. გზას განაგრძობენ მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნდებიან, რომ უბედურ ამხანაგებს ველარაფერით ვერ უშველიან.

სხვადასხვა ფრინველები სხვადასხვა სიმაღლეზე მიფრინავენ. თუ ნაცნობი ადგილებია მაშინ დაბლა მიფრინავენ, ხოლო თუ უცნობი ადგილია, მაშინ ზევით ამჯობინებენ აფრენას, რომ ამ მიდამოებში უკეთ გაერკვიონ. ამიტომაა, რომ, როდესაც ზღვას სჭრიან, ძალიან დიდ სიმაღლეზე ადიან: იქნება წყალს გარდა, რაიმეს თვალი მოვკრათო. მაღლა ფრენას ის უპირატესობაც აქვს, რომ ჰაერის მოძრაობა, ქარი—იქ ნაკლებად არის, მტრების შიშიც ნაკლებია. მტრები კი ბევრი ჰყავს ფრთოსნებს: მტაცებელ ფრინველებიდან დაწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყებული ადამიანამდე---ყველა მათ უთვალთვალებს. ფრინველებს დაუნდობლად ანადგურებენ, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც ამ მოგზაურ ფრთოსანთა გზაზეა. ამ გზაზე ცხოვრობდენ ძველად და ახლაც რომაელები და ბერძნები. ეს ხალხი წინადაც და ახლაც განთქმულნი არიან ფრთოსნებზე ნადირობით, ძველ რომში საპატიო სტუმრებს ხშირად მოართმევენ ხოლმე ბულბულების ენისაგან მომზადებულ საჭმელს.

ყველა ფრთოსანი ერთნაირი სისწრაფით არ მიფრინავს. ყველაზე სწრაფად მერცხალი ფრინავს: ერთ საათში დაახლოებით 200 ვერსის მანძილს გადიფრენს. ამიტომაა, რომ ხშირად გუნდში თუმცა სხვადასხვა ჯურის ფრინველებია, მაგრამ ისეთები კი, რომ ერთნაირი სისწრაფით შეეძლოთ ფრენა-

წეროების დასვენება თბილ ქვეყნებში გადაფრენის დროს.

თუმცა ხშირად სწრაფ მფრინავთ და ლონიერებს სუსტი ფრინველები აეკვიატებიან ხოლმე. ძალიან ეშმაკურად იქცევიან ეს პატარა ჩიტები. როგორც კი იგრძნობენ დაღლას, მოასხდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიან ზურგზე დიდ ფრთოსნებს და ასე არხეინად მიემგზავრებიან თბილ ქვეყნებში. ყველაზე მეტად წეროებს ეტანებიან პატარა ჩიტუნები.

მონადირეებს ხშირად შეუნიშნავთ, რომ მფრინავ წეროების გუნდიდან პატარა ჩიტუნების წრიპინიც მოისმის, თუმცა თვალით არ ჩანან. ამ დროს თუ თოფის ნმა გაისმა, დამფრთხალი ჩიტუნები აიშლებიან, ერთხანს მისდევენ კუდში წეროებს, მაგრამ მალე ისევ ზურგზე შეასხდებიან და სრულიად შეუმჩნევლად ამოჰყოფენ თავს საზამთრო ბინაზე.

მაგრამ ყოველთვის ასე კარგად არ ბოლოვდება მოგზაურობა, ხშირად გზაში ამოვარდება ქარი, წამოვა კოკისპირული წვიმა, მთელი გუნდი ნისლში გაეხვევა და აღარც გზა ჩანს, აღარც კვალი. კიდევ კარგი, თუ უბედურებამ მგზავრებს ხმელეთზე მოუსწრო: ფრთოსნები ამ შემთხვევაში დაეშვებიან და სადმე თავს შეაფარებენ, მაგრამ საშინელი უბედურება დატრიალდება ხოლმე, როცა ზღვაზე ამოვარდება ქარიშხალი. აქ კი დაქანცული ფრინველები ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევენ განრისხებულ ბუნებას და ათასობით ცვივიან აქაფებულ ზღვის ტალღებში.

სხვათა შორის, შემჩნეულია,—რაც უფრო სამხრეთით ცხოვრობს ფრინველი, საზაფხულოდ უფრო შორს მიფრინავს სამხრეთის მიმართულებით.

ყველაზე მეტად ეტანებიან ჩვენი ფრთოსნები აფრიკას. პირდაპირ ზღაპრული მხარეა ეს აფრიკა! იქ ბევრ ადგილას ზამთარში იმაზე მეტად არ ცივა, როგორც ჩვენში ახალ გაზაფხულზე. იქაურმა მცენარეებმა არ იციან რა არის შემოდგომის ფოთოლთ ცვენა, ზამთრის ძილი. მთელი წლის განმავლობაში მწვანედ არიან მოკაზმული. მწერები ხომ ურიცხვია. მეტი რა უნდა მოაგარაკე ფრთოსნებს! დახტიან, დაფრინავენ. აქ ფრინველები კვერცხებს არ სდებენ, ამიტომ არც ბუდის კეთება სჭირდებათ. გამოზაფხულზე კი უკვდებათ გული, გაახსენდებათ თავისი ბუდეები და ისევე მწყობრად, იმავე გზით დაუბრუნდებიან სამშობლო ადგილებს.

მართალია, ბევრი ჩვენი ფრინველი სხვაგან მიფრინავს საზამთროდ, მაგრამ ისეთი ფრინველებიც მოიპოვებიან, რომლებიც საზამთრო აგარაკად ჩვენს ქვეყანას ირჩევენ. წამოვლენ შორეულ ცივ ქვეყნებიდან სამხრეთისაკენ და ხშირად ჩვენი შავი ზღვის სანაპიროებზე დაიბანაკებენ.

პ. ტფილელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



აეროპლანი

ორწიგი და ლომი ერთმანეთს შეხვდენ და მიესალმენ.

— გამარჯობა შენი, ცის მეფეო,—უთხრა ლომმა.

— გაგიმარჯოს, ცხოველთა მეფეო,—მიუგო ორწიგმა,— სწორედ შენ შეგფერის დედამიწაზე მეფედ იყო, ისე როგორც მე ცის სიფრცეში. ვინ შეგედრება შენ, ძლიერ ლომს ძალღონით, სიდიდით და სიმკვირცხლით? საკვირველია სწორედ, რატომ სთვლის თავისთავს ბუნების მეფედ ის საბრალო ტიტველა ადამიანი, რომელსაც არც ჩემი მძლავრი ფრთები ასხია და არც შენი ბასრი ბრჭყალები. ვფიცავ ჩემს ფრთებს, რომ ადამიანი ვერასოდეს ვერ გახდება ცის სიფრცის მეფედ.

— ჯო, შენ სრულ სიმართლეს ამბობ, ცის სიფრცის მეფე! ამას იქით ადარც მე მიფცემ ადამიანს ნებას თავს დედამიწის მეუფე უწოდოს. ერთი ჩემი თათის შემოკვრა საკმაოა სული გავაფრთხობინო, და მაშინ ჩვენ ორი ვიქნებით ცისა და დედამიწის მფლობელნი...

ამ დროს ცაში რაღაც ზუზუნი და ხმაური გაისმა: ცისა და დედამიწის მეფეებმა ზევით აიხედეს. ორივე შიშმა აიტანა და აცახცახდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, ის საზიზღარი, ზეციერთაც ამოფრენილა!.. ცის სიფრცეც დაუჩემებია!.. ლუღლუღებდა არწივი.

— ოჰ, რადა მეშველება, ახლა როგორ-და დავემალებით იმის თვალებს... შეუძლია სულ მოგვსპოს!..—კანკალობდა ლომი.

მაღლა კი ლურჯ სიფრცეში ამაყად დასრიალობდა ადამიანი აეროპლანით და ვერ ამჩნევდა ძირს შეძრწუნებულ მოქიშპეებს.

ნ. ნაშაკიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კვერნა

(Mustela martes. Куница)

ყველას მოგესსენებათ, რომ კვერნა ტეის ცხოველია. მაგრამ თუ ტეეში საკმაო საზრდო არ აღმოჩნდა, სოფელსაც მიაშურებს. ჩემს დღეში არ დამავიწყდება ერთი ჩემი თავხედობა. შამოდგომა იწყებოდა. ადრე „დაგვიზამთრდა, სუსხმა დაჭერა, ტაბილ ზაფხული შეგვიცვალა.“ ზაფხულიც ფრიად გვალვიანი იყო. სიცივეებმაც უდროოდ მოგვისწრო, ჩვენი ტეე მაღლობზე იყო გაშენებული. ჩიტებმა იგრიალეს და თბილს ჭალას მიაშურეს. აქით ვეცი, იქითვეცი, ვერას გავხდი. არც წვრილი ცხოველი, არც ჩიტები, არც თრითინა და არც ცოცხი... ისინიც შიმშილს გაქცეოდენ და საზრდოს მოსაპოვებლად გამგზავრებულიყვენ, ვისაც სად რა ეგულებოდა. ტეის ხილი ხომ რაც იყო, არეის გამოსახდელად წაიღო ჩამოსულმა ხალხმა და დაგვიდგა შიმშილობა, თქვენი მტერი იყოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ კუჭი აგვიწვა შიმშილმა. ,,შიმშილი მწარეა,'' ტეუილად კი არ არის ნათქვამი. მართლა რომ მწარე ეოფილა. არც ვაცივე, არც ვაცხელე, ავიღე თავი და სოფელს მივაშურე. სოფელი არც ისე შორს იეო, ბევრი-ბევრი ჩვენი ტეიდან სულ ნახევარი კილომეტრი იქნებოდა. ის იეო დღე ღამეს ეერებოდა. თქვენ ხომ კარგად იცით, რომ ჩვენ სწორედ ამ დროს გამოვეოფთ ხოლმე თავს საზრდოს მოსაპოვებლად. დიაღ, გამოვეავი თავი ჩემი ფუღუროდან, რომელიც ერთს დიდ წიფელზე მქონდა მოწეობილი, და გავექანე მეზობელ სოფლისაკენ. იმ სოფელში კვლავაც მინადირია. ბევრი ბატისა და ქათმის წიწილები შემოსრბამენებია. შევცუნცულდი ერთ ეზოში, —შენი მტერი იეოს,—საქათმეზე ბოქლომი ადევს, მეორეშიც, მესამეშიც იგივე სურათია. აჰ,-ვიფიქრე გუნებაში,—ალბად შიმშილით სიკვდილი მომელის მეთქი. გავიხედე, ერთი ქოხის კარი გაღებულია. ადამიანის ჩამი-ჩუმი არ არის, შევეავი თავი ქოხში, მივიარ-მოვიარე, არსად არა რაი ჩანს, გარდა ერთი წეეილი ქალამნისა—,,როცა არ იეოს, ცოტაც კმარიეოსო,''—ნათქვამია. მშიერ გუნებაზე ამითაც უნდა დავკმაეოფილებულიეავი, ავიღე და აქვე გავუსვი კბილი. უცებ საიდანღაც გამოჩნდა მასპინძელი, წამოავლო ჯოხს ხელი და წინ მე და უკან ის. სულ ლანძღვა-გინებით გამომდია ჭიშკრამდე, მაგრამ, აბა, როგორ მომეწეოდა? სად ჩემი და სად ადამიანის სიმარდე! ის კი არა და, ჩიტი რომ არის, ჩიტი, ფრთოსანი, ისიც ვერ წამიგა, ისეთის სიმარდით დავეცემი თავს. ციეეი, თრითინა და მინდვრის თაგვი ხომ განთქმულნი არიან მუხლმარდობით, მაგრამ ისინიც კი მუდამ ჩემს ულუფას შეადგენენ და ვერასოდეს ხელიდან ვერ წამიელენ.

დიაღ, ამგვარად დავაღწიე თავი ადამიანს და ნელის ნაბიჯით ჩამოვიარე სოფლის ბოლოზე. ერთ ეზოდან ბატის ღრიანცელი შემომესმა. გული ამიტოკდა, ჰირი ნერწვეით ამევსო—და მუხლებმა ცახცახი დამიწეო, ერთი ვისკუჰე და მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უვარდი ბრიეგ ბატებს. ვტაცე ხირი ხირველსაგე და შინისაკენ გავექანე.

ცარიელ კუჭზე მოთმინება რას გამიძლებდა, მივადწიე ტეის განაპირას თუ არა, ჯერ ტვინი ამოვჭამე ჩემს სხვერპლს და შემდეგ ისე შევსანსლე, რომ თუ ძვალი ჰქონდა იმ ბატს ან ხორცი და ფრთა-ბუმბული, ვერავინ გამოიცნობდა.

ასეთი თავხედობით გავატარეთ მე და ჩემმა მეგვარეებმა ის წელიწადი, ვიდრე ზამთრის ბილს მივეცემოდით, მაგრამ ადამიანის სახლში კი, ის იყო და ის, მეტად ადარ გამიბედავს შესვლა. ან მაშინ რა მრჯიდა, თუ არ შიმშილისგან გაბორტება. ზაზოგადოდ ტეე სრულებით უზრუნველჰყოფს ხოლმე ჩვენს ცხოვრებას, მე შენ გეტევი, ცოტაა ტეეში ფრთოსანთ ბუდე, ციეგი, ირითინა, თაგვები და გვარნი მათნი. როდესაც გინდა, სულო და გულო! ვიქნებოდით ჩვენთვის მაძღარ-მადლიერნი, რომ ადამიანი არ გვმტრობდეს ერთი იმისათვის, რომ ხშირად იმის მასაზრდოებელ ფრთოსნებსაც ვერჩით ხოლმე და მეორეც იმიტომ, რომ ლამაზი და რბილი ქურქით დაუჯილდოვებივართ ბუნებას. საიამური თუ გვიწევს მეტოქეობას ქურქის სილამაზითა და სიმსუბუქით, თორემ სხვა ცხოველი ვერა. აქაო და რატომ შენ და არა მეო, ამოგვიღებს ნიშანში მონადირე, თუ სადმე მოგვასწრო ხეზე ან მიწაზე, თუ არა და დაგვიდგამს მახეს, დაგვიჭერს, გაგვატეავებს, და თვითონ იცვამს ჩვენს ქურქს.

თუ თვითონ არა ჭსურს ქურქის ტარება, სხვას მიჰყიდის და ფულს იღებს.

ხოლო მეორე მხრით მეც მეწვეთება ჩემს ბატარა აცქვეტილ ეურში იმ ფრთოსანთა და ცხოველთა საეკედური, რომელთაც მე ვსპობ ხოლმე. ადამიანის საეკედურიც არა ერთხელ ჩხმენია მის ბაღში მწიფე მსხლის, ალუბლისა და ქლიავის მგენგან გაოხრების გამო, გარდა შინაური ფრინველების მოსჩობისა, რა ვქნათ, ასე მოუწევია ბუნებას ჩვენი ცხოვრება და ჰვენ რა გვეთქმის?

კარგია, თქვენმა მზემ!

ივანე ელიაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტიტოს ქაღალდის ოთხკუთხედები ეჭირა ხელში. შემოეხვიენენ ბავშვები; ზოგმა ერთი გამოსტაცა ხელიდან, ზოგმა ორი. გაფანტ-გამოფანტეს.

— „ამსანაგებო, თქვენთვის მოქმონდა, ერთმანეთისათვის ისე მიგვედო, სიტყვები გამოსულიყო, თქვენ კი დამიფანტეთ.

ბავშვებმა ყური სცქვიტეს. დაასქერდეს იატაკს. მართლაც, ოთკუთხედზე ეწერა: [ცი] [ტო] [ა] [ვო] [რე] [ოკ] [რის] [ლიუ] [მგ] მიუყენეს-მოუყენეს ერთმანეთს ოთხკუთხედები და მშვენიერი რამ გამოვიდა!

აბა გამოიცანით, ბავშვებო!

დ. კარბელი

გასართოგი წუმწუმისაგან

ცხრა კვადრატი არის შემდგარი 24 წუმწუმისაგან; გამოაცალეთ ამათ 8 წუმწუმა ისე, რომ დარჩეს ორი არა თანასწორი კვადრატი.

ისე დაანუგეთ 6 წუმწუმა, რომ თვითეული მათგანი ეხებოდეს ოთხ, სხვას.

გამოცანა: თუმცა შენი საკუთრებაა, მაგრამ სხვები უფრო შენზე ხშირად ხმარობენ მას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ასის მეოთხედს მიადეთ
წყალის სასიდი ჭურჭელი,
მანამ კი ორმხრივ მოაკლეთ
ასო შარადის შემშლელი.

თემების შეკავშირებამ,
სთქვით, თუ რა შექმნა მველადა,
ბოლოში ასო წაშალეთ,
შარადა შევკრათ ხელადა.

შავს სუცესს ხელი ჩავიდოთ,
მოვიშველიოთ ფარადა,
უსაქმოდ არის ხომ მაინც,
დაგვიბოლოვოს შარადა.

მთლად მშრომელების დღე არის,
ბრძოლითა გაბრწყინვებული,
დაჩაგრულთ მისცა უფლება
სამართლით მინიჭებული.

დ. კარბელი.

საქართველოს ს.ს.ს.რ.
თბილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა ამბავი

გაზ. „მოწაფის ხმა“

1924 წლის 7 ნოემბრიდან ტფილისში გამოდის მოწაფეთა გაზეთი: „მოწაფის ხმა.“ გაზეთში მხოლოდ მოწაფეები ღებულობენ მონაწილეობას. გაზეთი ეოველკვირეულია და თვეში ღირს 12 კაპ. ცალკე №—კი 3 კაპ.

გაზეთს ხელმძღვანელობს მოწაფეების სარედაქციო კოლეგია. სარედაქციო კრებებს ხშირად ესწრებიან მოწაფე კორესპონდენტებიც. გაზეთი იბეჭდება ჯერჯერობით 2000 ც. გაზეთები გაიგზავნა ტფილისს გარდა—სხვა ქალაქებსა და სოფლებშიაც. ამ გაზეთს მიზნად აქვს საქართველოს რესპუბლიკის მოწაფეობა ჩაებას მუშაობაში და მისცეს საშუალება გამოსთქვან თავიანთი მისწრაფებანი. რედაქციას სწამს, რომ მოწაფეობა მსურვალე მონაწილეობას მიიღებს ამ გაზეთის საქმეში, როგორც წერილების მოწოდებით, ისე გავრცელებაშიაც.

ქალაქი სამტრედია. (მე-III-მე ილორის უბანი)

ქ. სამტრედიის, მე-III-მე ილორის უბნის, ჯუღაშვილის სახელობის მუშათა კლუბში, მსახიობ ვლ. გვიშიანის ხელმძღვანელობით, შრომის სკოლის მოსწავლე ბავშვების მიერ გაიმართა საბავშო წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნა „ამერიკელნი.“ კომ. 2-მოქ. და „უმცროსი.“ სურათი 1 მოქ.

ჰიესები საუცხოოთ ითამაშეს ჰატარა ემაწვილებმა.

თეატრი სავსე იყო ბავშებით, რომელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

მადლობის ღირსია ამ საბავშო წარმოდგენის მომწყობი და ხელმძღვანელი მსახიობი ვლ. გვიშიანი.

ლონ. კანდელაკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1924 წ.

მიიღება ხელის მოწერა საემაწვილო დასურათებულ ეროვნულ-თვიურ ჟურნალებზე:

მცირეწლოვ. „ნაკადული“ მე-XX წ.

მოზრდილ. „წითელი სხივი“

ხელის მოწერა მიიღება თვიურად.

ცალკე „ნაკადული“ 25 კ.
„ „წითელი სხივი“ 40 კ.

ქალაქ გარედ გაგზავნა ხელის მომწერის ხარჯზე.

მისამართი: ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 5, განათლების სახალხო კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „წითელი სხივი“-ს რედაქცია. რედაქციაშივე შეიძლება სიაში ჩამოთვლილ წიგნების შეძენაც.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ განყოფ. 3-მე სტამბა, № 227